მემორანდუმი №-01-08-17/123-2018-4
24.05.2018ß

„04“ აპრილი 2018წ.

ქ. თბილისი

წინამდებარე მემორანდუმი დადებულია

ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა

და

მეორე მხრივ, შპს „მიქსორს“-ს

შორის

მემორანდუმის მიზანი:

ითვალისწინებენ რა საქართველოში მშენებლობის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების საქმეში კვალიფიციური კადრების უდიდეს როლს და სპეციალისტების მომზადებაში აკადემიური განათლებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის გადამწყვეტ მნიშვნელობას, მხარეები მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ საქართველოში მშენებლობის განვითარებას, ამ დარგისთვის მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის გზით.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის წარმართვის და პროგრამების შედგენისას შეეცდება მოამზადოს იმ დარგის, პროფილისა და კვალიფიკაციის სპეციალისტები (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ შპს „მიქსორი“-ს მოთხოვნის საჭიროებას;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი შპს „მიქსორი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად მოამზადებს მშენებლობის დარგის სპეციალისტებს და მიაწვდის კურსდამთავრებულთა სიას, მათ მონაცემებს, დახასიათებას და ინფორმაციას აკადემიური მოსწრებისა და გამოყენების სფეროს შესახებ.
- შპს „მიქსორი“-ს შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაამუშავებს და ჩაატარებს ურთიერთ შეთანხმებული პრობლემური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისთვის

საჭირო თეორიულ, ექსპერიმენტულ და საკონსულტაციო სამუშაოებს, შესრულების და ანაზღაურების შესაბამისად;

- **საწარმოსგან** შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი განახორციელებს მათთვის საჭირო საპროექტო და საკვლევ-საძიებო სამუშაოების შესრულების ვადებისა და ანაზღაურების შესაბამისად;
- **საწარმოსგან** შესაბამისი მოთხოვნების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ორგანიზაციას გაუწევს ტრენინგებს **შპს „მიქსორ"**–ში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამასთან, მიიწვევს მათ წამყვან სპეციალისტებს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2. შპს „მიქსორი"

- **შპს „მიქსორი"** (შესაბამისობის ფარგლებში) ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს გაიარონ პრაქტიკა მათ დაქვემდებარებაში მყოფ სამშენებლო ობიექტებზე;
- შესაძლებლობის ფარგლებში **შპს „მიქსორი"** (საწარმოო საჭიროებებიდან გამომდინარე) შესთავაზებს სამუშაოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომელთა ცოდნა და უნარ–ჩვევები დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს;
- **შპს „მიქსორი"** თავისი საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს პრობლემური ტექნიკური საკითხების დამუშავებას და დამატებითი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში (ორმხრივად მისაღები ანაზღაურებით) უზრუნველყოფს მათ, ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო, მის ხელთ არსებული ინფორმაციით;
- **შპს „მიქსორი"** თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, გააგზავნის თავის თანამშრომლებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მიზნობრივ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში;

მემორანდუმში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ მის შეწყვეტამდე ვადით.

მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 30 დღით ადრე წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	**შპს „მიქსორი“**
რექტორი:	დირექტორი:
არჩილ ფრანგიშვილი	ილია შიხაშვილი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)